

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

ჭ. ჭაიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„18“ 02 „ 2016 წელი

ეგზ. № 1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის
საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში
(01.01.2013-01.07.2015)

ა-დ 9/36

2016 წელი

სარჩევი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები	3
აუდიტის მიზანი	6
აუდიტის მასშტაბი	6
აუდიტის ანგარიშის დანიშნულება.....	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა	7
აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა	7
შესყიდვები	11
შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები.....	11
შესყიდვის დაგეგმვის ნაკლოვანებანი	11
ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა	13
ხელშეკრულების შესრულების კონტროლი	16
შესყიდვის დროს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები.....	19
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“	21
ქონების შეძენა	23
ინერტული მასალის მოპოვება	23
სამსახურებრივი ავტომატების ზღვრული ოდენობა	23
შტატგარეშე მომსახურებებზე გაცემული პრემიები და დანამატები	24
მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მათზე კონტროლი	24
შპს „ხარაგაული 2011“-ის დაფუძნება და საქმიანობა	26
ვაზის სანერგე მეურნეობის სუბსიდირება.....	27
დაუსაბუთებელი ხარჯები.....	27
გაცემული სოციალური დახმარებები.....	29
დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელება.....	30
მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საკრებულოს კომისიის საქმიანობა	31
ინვენტარიზაცია.....	32
შიდა აუდიტის სამსახური.....	33
წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები	34
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	35
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	35

შესავალი ნაწილი

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

❖ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის მიერ შემენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში ხარვეზიანია და საჭიროებს ხშირ ცვლილებას. შედეგად, იზრდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადები და ღირებულება. (გვ.11)

❖ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლილი, შეღავათიანი პირობებით. დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები (შეთანხმებები) ან დაუნომრავია, ან არასწორად არის დანომრილი, ზოგიერთი მათგანი არ არის ატვირთული შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. (გვ.12)

❖ მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 210.3 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ხელშეკრულება გაფორმებულია 14 ისეთ მიმწოდებელთან, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე 1- დან 30 დღემდე პერიოდში. (გვ.12)

❖ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მუნიციპალიტეტმა გააფორმა 205.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება 20 ისეთ მიმწოდებელთან, რომლებიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის კონტრაქტორები არ ყოფილან. (გვ.12)

❖ მუნიციპალიტეტის მიერ სააუდიტე პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, მიმწოდებლებზე ხშირ შემთხვევაში სამუშაოების დასრულების ვადა გადაწეულია უამინდობის მიზეზით, რომელიც ვერ ჩაითვლება ისეთ გარემოებად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარიმო სანქციის ამოქმედება რომ დაწყებულიყო სამუშაოების მიწოდების თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ, 18 მიმწოდებელს დაერიცხებოდა 158.4 ათასი ლარის ჯარიმა. (გვ.13)

❖ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა დაბა ხარაგაულში, ჭიპაშვილის ქუჩაზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოებზე გასწია 73.6 ათასი ლარის არაეფექტური ხარჯი, ვინაიდან გზა მალევე დაზიანდა და საჭირო გახდა დამატებით ბეტონის საფარის გადაგება. (გვ.14)

❖ 2015 წელს, ბორითი-მარიამწყარო-ღორემის საავტომობილო გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესყიდვის დროს, მუნიციპალიტეტმა ისე აიღო მიმწოდებლისთვის ინერტული მასალის კარიერით უზრუნველყოფის ვალდებულება, რომ არ გააჩნდა შესაბამისი ნებართვა. ნებართვის მიღება გაჭიანურდა. შედეგად, სამუშაოები დასრულდა ტენდერით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და მოსახლეობამ დროულად ვერ ისარგებლა აღნიშნული სიკეთით. (გვ.15)

❖ 2013-2014 წლებში სოფელ მაქათუბანში განხორციელდა ხიდის მშენებლობა, თანხით 151.4 ათასი ლარი. ხიდის პროექტი რამდენჯერმე გადაკეთდა, რამაც გამოიწვია ხიდის ძირითადი პარამეტრების შეცვლა: ერთმალიანიდან გადაკეთდა ორ მალიანად; სიგრძე 15.1 მეტრის ნაცვლად გახდა 30.2 მეტრი; შემცირდა ტვირთამწეობა. ცვლილებების შედეგად საჭირო გახდა ფინანსური რესურსების დამატება. ამასთან გახანგრძლივდა

სამუშაოების დასრულების ვადა. ხიდი ექსპლუატაციაში შევიდა ერთი წლის დაგვიანებით. (გვ.16)

❖ 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მიმწოდებლებზე ვადაგადაცილებისათვის დარიცხული და ამოუღებელი ჯარიმები შეადგენს 119.6 ათას ლარს, თუმცა შესრულებული სამუშაოების ღირებულება სრულად არის ანაზღაურებული. შემსრულებლებზე დარიცხული ჯარიმების ამოღების მიზნით აუდიტის მიმდინარეობის დროს სასამართლოში შეტანილია სარჩელი, 2-3 წლის დაგვიანებით. (გვ.17)

❖ 2014 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით სამუშაოების ჩაბარებისთვის მიმწოდებლებზე არ არის გავრცელებული 41.7 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია. (გვ.18)

❖ სააუდიტო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვების განხორციელებისას დამუშავებულია სხვადასხვა სახის ტექნიკური ხარვეზი. მაგალითად: 2013 წელს შესყიდულია სოფელ ხევში მდინარე ძირულაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით სამუშაოები შესრულებულია მდინარე სურამულაზე¹, რეალურად კი ხიდის მშენებლობა განხორციელდა მდინარე რიკოთულაზე. (გვ.19)

❖ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია 92.0 ათასი ლარის სარიტუალო სახლების, წყლის სისტემებისა და წისქვილების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც არ არის დასრულებული და ვერ სარგებლობს მოსახლეობა. (გვ.21)

❖ მუნიციპალიტეტმა 2013 წელს ა(ა)იპ „სათნოების სახლისათვის“ შეიძინა 85 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი, თანხით 10.0 ათასი ლარი, რომელიც არ არის გამოყენებული, ხოლო ა(ა)იპ-ს ყოველწლიურად ფართის დაქირავებაში გადახდილი აქვს 3.0 ათასი ლარი. (გვ.23)

❖ საანგარიშო პერიოდში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გზების მოხრეშვით სამუშაოებზე გამოყენებული ინერტული მასალები, სავარაუდოდ, მოპოვებულია არალიცენზირებული კარიერებიდან. (გვ.23)

❖ 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, ავტომანქანების რაოდენობა, რომლებიც ემსახურება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდირებულ ოდენობაზე მეტია. (გვ.23)

❖ სააუდიტო პერიოდში მუნიციპალიტეტში პრემიის და დანამატის სახით სულ გაცემულია 371.3 ათასი ლარი, 2013-2014 წლებში საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებული არ არის. შტატგარეშე მოსამსახურეებზე ისეა გაცემული 47.4 ათასი ლარის პრემია და დანამატი, რომ მათთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა დამატებით ანაზღაურებას. (გვ.24)

❖ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით ა(ა)იპ - ების მიერ არ არის წარმოდგენილი სუბსიდიით განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი ღონისძიებები. არ არის დასაბუთებული რა სამუშაოები უნდა შესრულებინათ, რა პერიოდულობითა და მოცულობით. (გვ.24)

❖ 2015 წელს 2013 წელთან შედარებით ა(ა)იპ - ების შტატები ისე არის გაზრდილი, რომ დოკუმენტურად არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რა გარემოებებით არის გამოწვეული აღნიშნული ცვლილება. მაგალითად, ა(ა)იპ „სათნოების სახლში“ 2013 წელს დასაქმებული იყო 8 ადამიანი, ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენდა 58-ს, ხოლო 2014

¹ მდინარე სურამულა მიედინება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

წელს ბენეფიციარების რაოდენობა გაიზარდა 3 ერთეულით, შტატების რაოდენობა კი - 5 - ით. (გვ.25)

❖ 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს „ხარაგაული 2011“-ს შესაბამისი დასაბუთების გარეშე გადაეცა 35.8 ათასი ლარის სუბსიდია. (გვ.26)

❖ მუნიციპალიტეტმა 2014 წელს 25.0 ათასი ლარით დააფინანსა „ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარების პროგრამა“, თუმცა დოკუმენტურად ვერ საბუთდება ვაზის სანერგე მეურნეობის არსებობის აუცილებლობა და განვითარების პერსპექტივა, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. (გვ.27)

❖ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენილი 1694.8 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოები ანაზღაურებულია კანონმდებლობის დარღვევით, ფაქტობრივი დანახარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე. (გვ.27)

❖ საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით გახარჯულია 40.4 ათასი ლარი, საიდანაც 2013-2014 წლებში გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ რესტორნის მომსახურებაზე, დაუსაბუთებლად არის გაწეული 21.5 ათასი ლარის ხარჯი. (გვ.28)

❖ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, გაცემულია 182.1 ათასი ლარი, რომლის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი ვერ იქნა. გარდა ამისა, 2013-2014 წლებში საკრებულოს თანამდებობის პირებზე კანონის დარღვევით გაცემულია 33.1 ათასი ლარი. (გვ.28)

❖ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში გამგეობას სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის გარდა, საკუთარი შემოსავლებიდან მიმართული აქვს 134.5 ათასი ლარი. (გვ.30)

❖ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები. (გვ.31)

❖ 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ხოლო 2015 წლის მარტში გამგებლის ბრძანებით შეიქმნა ინვენტარიზაციის კომისია. აუდიტის მიმდინარეობისას ინვენტარიზაცია არ დამთავრებულა. (გვ.32)

❖ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური შეიქმნა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებზე ორი თვის დაგვიანებით. 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვეში სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. (გვ.33)

❖ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2009-2012 წლების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტის შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესაბამისი ღონისძიებები მუნიციპალიტეტში არ გატარებულა. გამოვლენილი ძირითადი დარღვევა-ნაკლოვანებები არ არის აღმოფხვრილი და კვლავ მეორდება. (გვ.34).

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიშში, მათი გამოვლენის შემთხვევაში, აისახება შემდეგი საკითხები:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვისას, საჯარო რესურსების გამოყენებისას და ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მოქმედ საკანონმდებლო და სხვა აქტების მოთხოვნების დაუცველობა;
- არამართლზომიერი ხარჯვა - სახსრების ეკონომიურად ხარჯვის ვალდებულებების დაუცველობა;
- ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად ან/და საჯარო სექტორში ერთგვაროვანი პრაქტიკის დასაწერად.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, აუდიტმა მოიცვა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის გადასახდელები, ჯამში 22439.8 ათასი ლარი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილ იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2013, 2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის ვალდებულება ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამიანობებს.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისათვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ 2013, 2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტორული პროცედურები ჩატარდა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის ობიექტის მოკლე მიმოხილვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 20 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთ დაბასა და 19 თემს. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოიცავს 913.9 კვ.კმ-ს. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 19.5 ათასს². ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხარაგაული.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის³, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები:

- o საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- o ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- o მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- o სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- o მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- o იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია და სხვ.

თვითმმართველ ერთეულს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა, ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვა.

² 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. <http://geostat.ge>

³ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მოქმედებდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონი.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 ა(ა)იპ⁴, რომელთა დაფინანსების ძირითადი წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი. თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებულია ასევე ერთი შპს⁵.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმოხილვა

ხარაგაულის თვითმმართველ ერთეულს თავის უფლებამოსილებათა განსახორციელებლად გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი. ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების დამოუკიდებლად გაწევის შესაძლებლობით, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებს, ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციებიდან მიღებულ სახსრებს, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ტრანსფერებსა და სხვა შემოსულობებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანო პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შედგენაზე, რომელშიც კონსოლიდირებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის ერთიანი ბიუჯეტი არ შედგენილა.

შემოსულობები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით⁶, შემოსულობებმა სულ შეადგინა 22463.4 ათასი ლარი.

წლების მიხედვით მონაცემები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2013 წელი	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	სულ
შემოსულობები	8843,0	9972,4	3648,0	22463,4
შემოსავლები	8830,2	9950,2	3641,1	22421,5
გადასახადები	281,9	977,0	361,1	1620,0
გრანტები	7151,5	7493,3	2945,2	17590,0
სხვა შემოსავლები	1396,8	1479,9	334,8	3211,5
არაფინანსური აქტივების კლება	12,8	22,2	6,9	41,9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის ცვლილების გარდა)	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0

2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, შემოსავლების 79%-ს წარმოადგენს გრანტები, გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი შეადგენს 7%-ს, ხოლო დანარჩენი 14% უჭირავს სხვა შემოსავლებს.


⁴ 2013 წლის 1 იანვრისთვის ფუნქციონირებდა 14 ა(ა)იპ, 2013 წელს დაემატა 2 ა(ა)იპ.

⁵ 2012 წლიდან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემულია აგრეთვე 13 შპს (საექიმო ამბულატორიები).

⁶ დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

შემოსავლები 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში

(ათასი ლარი)



როგორც დიაგრამიდან ჩანს, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2014 წელს 695.1 ათასი ლარით არის გაზრდილი გადასახადები (247%-ით), რაც ძირითადად განაპირობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მაგისტრალის განთავსების ზოლში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2015 წელს, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის შემცირებული სხვა შემოსავლები, რაც ძირითადად გამოიწვია ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების კლებამ (2015 წლის 6 თვის დაგეგმილ მონაცემებთან შედარებით გეგმა შესრულდა მხოლოდ 59%-ით).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებს, წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის განმავლობაში მიღებული ტრანსფერები (ათასი ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი	2013 წელი	2014 წელი	2015 წლის 6 თვე	სულ
გათანაბრებითი ტრანსფერი	3559,7	4306,1	2152,8	10018,6
მიზნობრივი ტრანსფერი	130,0	138,0	69,0	337,0
სპეციალური ტრანსფერი ⁷	3461,8	223,4	0,0	3685,2
კაპიტალური ტრანსფერი	0,0	2825,8	723,4	3549,2
სულ:	7151,5	7493,3	2945,2	17590,0

გადასახდელები


ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მიხედვით, გადასახდელებმა სულ შეადგინა 22439.8 ათასი ლარი⁸. მათ შორის, ხარჯი შეადგენს 70%-ს, ხოლო 30% უჭირავს არაფინანსური აქტივების ზრდას.

ხარჯები წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

⁷ 2014 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სპეციალური ტრანსფერიდან გაიმიჯნა კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად გამოეყოფა ადგილობრივ თვითმმართველობებს, ხოლო სპეციალური ტრანსფერი დარჩა როგორც სტიქიური მოვლენებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციოდ მიღებული ფინანსური დახმარება.

⁸ 2013 წელი - 7275.2 ათასი ლარი; 2014 წელი - 11113.1 ათასი; 2015 წლის 6 თვე - 4051.5 ათასი ლარი.

**ხარჯები 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით
(ათასი ლარი)**



აღსანიშნავია, რომ ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისა და შპს-ის დაფინანსებაზე (42%)⁹. ხარჯებში ერთ-ერთი დიდი მაჩვენებლით წარმოდგენილია ასევე „საქონელი და მომსახურების“ მუხლი (24%) და „შრომის ანაზღაურების“ მუხლი (22%).

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2013 წელს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა (შტატით, შტატგარეშე და ა(ა)იპ-ებში) შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია მთლიანი ხარჯების 54%, 2014 წელს - 56%, 2015 წლის 6 თვეში კი - 63%. ხარჯებში შრომის ანაზღაურების წილის ზრდა გამოწვეულია ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოების ზრდით.

ნაშთის ცვლილება

2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს საბანკო ანგარიშებზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 485.9 ათასი ლარი, საიდანაც წლის განმავლობაში დაიგეგმა 481.0 ათასი ლარის ხარჯვა. 2013 წელს ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების დაგროვებამ (მატებამ) შეადგინა 1564.5 ათასი ლარი და წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე დაფიქსირდა ნაშთი 2050.4 ათასი ლარი, რომლის ხარჯვაც დაიგეგმა მომდევნო წელს. ფაქტობრივად ნაშთის ცვლილებით გამოწვეული ფულადი სახსრების გამოყენებამ 2014 წელს შეადგინა 1137.6 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს არსებულმა ნაშთმა - 912.8 ათასი ლარი. აღნიშნულიდან, 2015 წლის პირველი ივლისის მდგომარეობით, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით წლის განმავლობაში დაიგეგმა 638.6 ათასი ლარის ხარჯვა. სასურველია, მუნიციპალიტეტმა ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საკუთარ ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები მიმართოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად ან დაუსრულებელი პროექტების გასაგრძელებლად. ამასთან ბიუჯეტი იმგვარად დაგეგმოს, რომ არსებული თავისუფალი ნაშთი დროულად და მაქსიმალურად გამოიყენოს მოსახლეობის სასიკეთოდ.

⁹ ა(ა)იპ-ების მიერ მიღებული სუბსიდიების 70% მიმართულია დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაზე

შესყიდვები

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა სულ 260 ტენდერი. მათ შორის:

- ხელშეკრულება დადებულია 181 შემთხვევაში.
- 65 ტენდერი არ შედგა, რომლითაც უნდა განხორციელებულიყო საინჟინრო მომსახურების, სამშენებლო სამუშაოების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. აქედან, 24 შემთხვევაში 190.8 ათასი ლარის შესყიდვაზე წინადადების წარმოსადგენად, პრეტენდენტს მიცემული ჰქონდა მხოლოდ 2 დღე. არშემდგარი ტენდერის შემდეგ განმეორებით გამოცხადდა ტენდერი ან შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
- შეწყდა 7 ტენდერი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო შემსყიდველის მიერ არასწორად ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი ფინანსური რესურსების უქონლობით.
- უარყოფითი შედეგით დასრულდა 7 ტენდერი. აღნიშნული სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციასთან შეუსაბამო ინფორმაციის ატვირთვა, ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობა და ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმა.

2013-2014 წლებისა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით განხორციელებული შესყიდვები სახელშეკრულებო ღირებულებით¹⁰ ათასი ლარი

წლები	ელექტრონული ტენდერი		გამარტივებული ელექტრონული ტენდერი		გამარტივებულ შესყიდვა		კონსოლიდირებული ტენდერი		სულ	
	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა	რაო-ბა	თანხა
2013 წელი	20	2751.8	48	876.3	348	1167.1	6	124	422	4919.2
2014 წელი	32	4142.5	66	831.2	328	1502.2	26	114.6	452	6590.5
2015 წლის 6 თვე	3	656.6	31	1177.4	134	718.2	4	33.4	172	2585.6
სულ:	55	7550.9	145	2884.9	810	3387.5	36	272	1046	14095.3

შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები

შესყიდვის დაგეგმვის ნაკლოვანებანი

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლით გამოვლინდა, შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული სისტემური ხასიათის დარღვევები:

- სამუშაოების შესასრულებლად შემენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ზოგიერთ შემთხვევაში ხარვეზიანია, რასაც ადასტურებს

¹⁰ მონაცემებში შედის 2012 წელს დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც განხორციელდა მომდევნო წელს.

თავდაპირველ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი ხშირი ცვლილებები, შესასრულებელი სამუშაოებისა და სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა (10%-ის ფარგლებში). 7 ხელშეკრულებაში, რომლის ღირებულება შეადგენდა 917.6 ათას ლარს, შეტანილი ცვლილების შედეგად შესყიდვის ღირებულება 80.0 ათასი ლარით¹¹ გაიზარდა.

- საანგარიშო პერიოდში სამუშაოების ელექტრონული შესყიდვის დროს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობის დარღვევით, სატენდერო დოკუმენტაციის შეცვლილი პირობებით (სანქციისათვის განსაზღვრული საურავი 0.5-0.3%-ის ნაცვლად ხელშეკრულებაში ჩადებულია 0,1%). დადებულ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებები (შეთანხმებები) ან დაუნომრავია, ან არასწორად არის დანომრილი. ზოგიერთი მათგანი არ არის ატვირთული შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
- 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების შესყიდვა ისე განხორციელდა, რომ მიმწოდებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის ჩადებული შესრულებული სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადა. აღნიშნულის გამო შეუძლებელია შესრულებული სამუშაოების ჩაბარების შემდგომ გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიმწოდებელზე მოთხოვნა.

კანონმდებლობის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის დროს მიმწოდებელთა შერჩევისას საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია რაციონალურად და მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით განახორციელოს შესყიდვა, აგრეთვე უზრუნველყოს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური ხარჯვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სასურველია მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინოს მსგავსი შესყიდვების გამოცდილება, ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის, ბაზრის კვლევა, რაც საშუალებას მისცემს განსაზღვროს შესყიდვის სავარაუდო ღირებულება, შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობები, მოიძიოს და გამოავლინოს პოტენციური მიმწოდებლები. ადგილობრივი ბაზრის შესწავლა და მიმწოდებლებთან კომუნიკაცია მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემს შეარჩიოს მიმწოდებელი შესყიდვის შესაძლო საუკეთესო პირობებით, ხარისხისა და ეკონომიური ფასის ოპტიმალური შეხამებით.

მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადებულია 14 ხელშეკრულება, რომლითაც შეძენილია გზის საფარისა და წყლის სისტემის მოწყობის, შენობის რეაბილიტაციის, ხიდის რემონტისა და სხვა სამუშაოები, საერთო ღირებულებით 210.3 ათასი ლარი. აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია ისეთ მიმწოდებლებთან, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ ხელშეკრულების დადებამდე 1-30 დღით ადრე. ასევე, ერთი მიმწოდებელი, კერძოდ, ი/მ ფრიდონ კამკამიძე, მეწარმედ დარეგისტრირებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი დღის შემდეგ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტმა გააფორმა 205.5 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულებები 20 ისეთ მიმწოდებელთან, რომლებიც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის კონტრაქტორები არ ყოფილან.

¹¹ 2013 წლის ხელშეკრულებები: № 288; № 300; № 314; № 311; № 389. 2014 წლის ხელშეკრულებები: № 179; № 327.

2014 წელს გამარტივებული შესყიდვით, ხელშეკრულებები გაფორმებულია 2 ისეთ მიმწოდებელთან¹², რომელთაც არ ჰქონდათ გადახდილი წინა წლებში სამუშაოების დავიანებით ჩაბარებისათვის დარიცხული ჯარიმები.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვების განხორციელების დროს შეარჩიოს ისეთი მიმწოდებლები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის გამოცდილება და მუნიციპალიტეტთან ურთიერთობის დადებითი პრაქტიკა.

ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობა

მუნიციპალიტეტში სისტემატური ხასიათი აქვს შესასრულებელი სამუშაოების ვადის გადაწევას, კერძოდ: 2013 წელს შეტანილია ცვლილება და გადაწეულია ვადა მიმწოდებლებთან გაფორმებულ 24 ხელშეკრულებაში, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 3051.5 ათას ლარს (მთლიანი შესყიდვების ღირებულების 62%), 2014 წელს ცვლილება შეტანილია 19 ხელშეკრულებაში, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 1880.7 ათას ლარს (მთლიანი შესყიდვების ღირებულების 29%). 2015 წლის 6 თვეში კი ცვლილება შეტანილია 6 ხელშეკრულებაში, რომლის შესყიდვის ღირებულება შეადგენდა 868.2 ათას ლარს (მთლიანი შესყიდვების ღირებულების 34%).

ვადის გადაწევის საფუძველი ძირითადად იყო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოების კორექტირება და უამინდობა. ასევე ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაწევის მიზეზი გარკვეულწილად შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ვადის არასწორი განსაზღვრა, შემჭიდროვებული ვადები, რაც თავის მხრივ, ხელს უშლის შესყიდვის დროს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას.

მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, მიმწოდებლების მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების არ არსებობა, შეიძლება არ ჩაითვალოს განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო, ვინაიდან აუდიტის ობიექტმა ვერ დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ფორსმაჟორს, ჩვეულებრივისგან განსხვავებულ მდგომარეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჯარიმო სანქციის ამოქმედება რომ დაწყებულიყო სამუშაოების მიწოდების თავდაპირველი ვადის ამოწურვის შემდეგ, მიმწოდებლებს დაერიცხებოდათ ჯარიმა. როდესაც ჯარიმის თანხა გადააჭარბებდა სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს, მუნიციპალიტეტს შეეძლო შეეწყვიტა ხელშეკრულება. სულ 18 მიმწოდებელს¹³ დაერიცხებოდა 158.4 ათასი ლარის ჯარიმა, რომელიც მიმართული იქნებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

¹² შპს „მარკშეიდერი“ და ი/მ გიორგი თხელიძე.

¹³ 2013 წლის ხელშეკრულებები: № 291; № 295; № 301; № 311; № 313; № 314; № 335; № 336; № 354; № 382. 2014 წლის ხელშეკრულებები: № 99; № 125; № 131; № 133; № 134; № 158. 2015 წლის ხელშეკრულებები: № 75; № 87.

მუნიციპალიტეტის მიერ დაურიცხავი ჯარიმები

(ათას ლარებში)

ხელშეკრულების გაფორმების პერიოდი	მიმწოდებლების რაოდენობა	სახელშეკრულებო ღირებულება	ვადის არ გადაწევის შემთხვევაში დასარიცხი ჯარიმა	საჯარიმო თანხა, რომლის შემდგომ შესაძლებელი იყო ხელშეკრულების შეწყვეტა(ხელშ. ღირებულების 5%)
2013 წელი	10	1719.6	1278.6	86
2014 წელი	6	1322.0	170.3	66.1
2015 წლის 6 თვე	2	126.5	30.9	6.3
სულ:	18	3168.1	1479.8	158.4

აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს რისკი იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმიტომ, რომ არ დარიცხვოდათ ჯარიმები.

დაბა ხარაგაულში ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოები

2013 წლის 10 სექტემბერს შპს „ჯი-აი-დი“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება¹⁴ დაბა ხარაგაულის 8 ქუჩის კაპიტალურ შეკეთებაზე, თანხით 863.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 20 ნოემბრამდე. ხელშეკრულებაში შევიდა 9 ცვლილება და სამუშაოების მიწოდების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2014 წლის 15 ივლისი.

თენგიზ ჭიპაშვილის ქუჩაზე 735 კვ.მ-ზე რიყის ქვით ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით 73.6 ათას ლარს შეადგენდა. შესრულებული სამუშაოების აქტის, ექსპერტიზისა და მუნიციპალიტეტის კონტროლის ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნით, 2014 წლის 25 აპრილის მდგომარეობით, სამუშაოები დასრულებული იყო.

შემდგომ პერიოდში, ხელშეკრულებაში შეტანილი ბოლო ცვლილებით, სხვა ქუჩებზე მიღებული შესასრულებელი სამუშაოს ეკონომიის ხარჯზე მოხდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, რომლის მიხედვით თენგიზ ჭიპაშვილის ქუჩაზე რიყის ქვით მოწყობილი ქვაფენილისა და ბეტონის ბილიკის ნაცვლად უნდა გაკეთებულიყო ქუჩის მთლიანი ზედაპირის მობეტონება. ქვაფენილზე გადაიგო ბეტონის საფარი, რომელზეც გაწეულია 33.5 ათასი ლარის ხარჯი. სულ აღნიშნულ ქუჩაზე შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 107.1 ათასი ლარი.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ჭიპაშვილის ქუჩაზე განხორციელდა ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები, რომელიც გამოვიდა მწყობრიდან და საჭირო გახდა ბეტონის ფენის გადაგება. აგრეთვე ქვაფენილის ბეტონის საფარით დაფარვას ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა. მათი განცხადებით გზაზე გადაადგილება არაკომფორტული იყო. იმის გამო, რომ თავიდანვე ვერ იქნა განსაზღვრული აღნიშნულ ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგების საჭიროება, მუნიციპალიტეტმა გასწია 73.6 ათასი ლარის არაეფექტური ხარჯი.

¹⁴ ხელშეკრულება №291.

ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 2015 წლის აპრილში გამოაცხადა ტენდერი ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (მოხრეშვითი) სამუშაოების შესყიდვაზე, თანხით 199.9 ათასი ლარი. როგორც ტენდერის მიმდინარეობისას გაირკვა, სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მასალის ქვიშა-ხრეშოვანი ბალასტის მოპოვება მოხდებოდა ადგილობრივი კარიერიდან და მუნიციპალიტეტი იღებდა ვალდებულებას, რომ მიმწოდებელი უზრუნველყოფილი იქნებოდა კარიერით¹⁵. მუნიციპალიტეტმა აღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე ისე ჩაატარა ტენდერი და გააფორმა გამარჯვებულ ფირმასთან ხელშეკრულება, რომ ამ პერიოდში მასალის მოპოვებისათვის კარიერი არ გააჩნდა.

ტენდერში კონკურენციის შედეგად გაიმარჯვა შპს „ნიუ ვეივა“, რომელთანაც 2015 წლის 13 მაისს გაფორმდა №87 ხელშეკრულება, ღირებულებით 120.0 ათასი ლარი. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს მუნიციპალიტეტმა ოფიციალურად მიმართა შესაბამის სამინისტროს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან განთავისუფლების მიზნით. საკითხის გადაწყვეტა გაჭიანურდა და მუნიციპალიტეტმა ნებართვა მიიღო აგვისტოს ბოლოს.

სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 12 ივლისამდე, მაგრამ მასში შესული პირველი ცვლილების შედეგად სამუშაოების დასრულების ვადამ გადაიწია 2015 წლის 15 სექტემბრამდე. ვადის გადაწევის მიზეზად მიმწოდებელს 2015 წლის 10 ივლისის წერილში მითითებული აქვს, რომ კლიმატური პირობების გამო ვერ ახერხებდა სამუშაოების დასრულებას, თუმცა ამ პერიოდისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მას ეს სამუშაოები დაწყებულიც არ ჰქონდა და არც ცნობა წარმოდგენია კლიმატური პირობების შესახებ. მიუხედავად ამისა, შემსყიდველი მაინც დაეთანხმა აღნიშნულ მოთხოვნას და 63 დღით გადასწია ვადა. სამუშაოების დასრულების ვადებმა შემდეგაც გადაიწია რამდენიმეჯერ (მაგალითად, ოქტომბერში - ნალექიანი ამინდების გამო) და საბოლოოდ განისაზღვრა 2015 წლის 30 ნოემბერი.

2015 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია 101.6 ათასი ლარის სამუშაოების შესრულების შუალედური აქტი. მიუხედავად იმისა, რომ მასალის, ქვიშა-ხრეშოვანი ნარევის, მოპოვება განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან და მიმწოდებელს მასალაში თანხა არ გადაუხდია, წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების აქტში 5535 კუბ.მ ქვიშა-ხრეშოვანი გრუნტისა და ნარევის (მასალის) ღირებულება ნაჩვენებია - 14.0 ათასი ლარი. სამუშაოების მიღება-ჩაბარების დროს შედგენილი დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ მოთხოვნილი ზედმეტი თანხა დაკავებულია და არ ანაზღაურებულა.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა გზის მოხრეშვითი სამუშაოების შესყიდვა განახორციელა ნაჩქარევად, წინასწარი მომზადების (კარიერზე ნებართვის) გარეშე, სამუშაოები გაჭიანურდა და დასრულდა 2015 წლის 30 ნოემბერს¹⁶, ტენდერით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ და მოსახლეობამ დროულად ვერ ისარგებლა აღნიშნული სიკეთით.

¹⁵ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაში 52.1 ათასი ლარი წარმოადგენდა ქვიშა-ხრეშოვან მასალას. მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ იყო გადაწყვეტილი წიაღისეულის მოპოვება სალიცენზიო მოსაკრებლის გარეშე, შესაბამისად უნდა შემცირებულიყო სატენდერო ფასი. აღნიშნული მუნიციპალიტეტს არ გაუთვალისწინებია.

¹⁶ მუნიციპალიტეტის 2016 წლის 11 თებერვლის №49/392 წერილი

საავტომობილო ხიდის მშენებლობა

მუნიციპალიტეტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან¹⁷ სოფელ მაქათუბანში ხიდის მშენებლობის სამუშაოებისათვის გამოეყო 119.6 ათასი ლარი. 2013 წლის სექტემბერში აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გააფორმა ტენდერში გამარჯვებულ სს „ქუთაისის მექანიკურ ქარხანასთან“¹⁸, თანხით 94.0 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 2013 წლის 17 ნოემბერს.

ხიდის მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია (პროექტი) შეიცავდა არსებით უზუსტობებს, რის გამოც მასში რამდენჯერმე შევიდა ცვლილება. შეიცვალა ხიდის ძირითადი პარამეტრები, სახელშეკრულებო ღირებულება გაიზარდა 10%-ით. შესაბამისად, აღნიშნულმა ცვლილებებმა, გამოიწვია სამუშაოების ვადის გახანგრძლივება. 2014 წლის 17 დეკემბერს მიმწოდებელმა სამუშაოები ჩააბარა მუნიციპალიტეტს (გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი 103.4 ათას ლარზე), მაგრამ ხიდის მშენებლობა არ იყო დასრულებული.

ხიდის დასრულებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 49.0 ათასი ლარი და 2014 წლის 10 დეკემბერს კვლავ გაფორმდა ხელშეკრულება სს „ქუთაისის მექანიკურ ქარხანასთან“¹⁹, რომელიც ითვალისწინებდა ხიდის ლითონის კონსტრუქციის ტრანსპორტირებასა და მონტაჟს. სამუშაოები დასრულდა და ხიდი მუნიციპალიტეტს ჩაბარდა 2014 წლის 29 დეკემბერს. სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 48.0 ათასი ლარი.

მშენებლობის სამუშაოების შესრულებისას პროექტში შეტანილმა კორექტირებებმა არსებითად შეცვალა ხიდის ძირითადი პარამეტრები: ერთმალაიანიდან გადაკეთდა ორ-მალაიანად, სიგრძე 15.1 მეტრის ნაცვლად გახდა 30.2 მეტრი, გაუარესდა ტვირთამწეობა: 10 ტონიდან შემცირდა 8 ტონამდე. აღნიშნულმა ცვლილებებმა გამოიწვია სამუშაოების ვადის გახანგრძლივება, სამუშაოები გაჭიანურდა, ხიდი ექსპლუატაციაში შევიდა ერთი წლის დაგვიანებით და შესაბამისად, აღნიშნული სიკეთით მოსახლეობამაც დაგვიანებით ისარგებლა.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის კონტროლი

საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით²⁰, მუნიციპალიტეტში საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებისაგან შექმნილი იყო ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის ჯგუფი, ხოლო 2014 წლის ივლისიდან, გამგებლის ბრძანებით²¹, გამგეობის თანამშრომლებისაგან შეიქმნა ახალი ჯგუფი.

მუნიციპალიტეტი შესყიდული დიდი მოცულობის სამუშაოების მიღებას ახორციელებდა მიმწოდებლის მიერ დაქირავებული აუდიტორული ფირმების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული საექსპერტო მომსახურების თანხა წინასწარ იყო გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით და იხდიდა მუნიციპალიტეტი. მიმწოდებლის მიერ ხდებოდა აგრეთვე საგზაო სამუშაოების შესრულებისას გზის საფარის, ასფალტის ნარევისა და სხვა მასალების ლაბორატორიული კვლევა. სამუშაოების მიღებისას შედგენილი დასკვნებით ირკვევა, რომ კონტროლის ჯგუფი ეთანხმებოდა შემსრულებლის

¹⁷ საქართველოს მთავრობის 4 აპრილი, № 311 განკარგულება.

¹⁸ 2013 წლის 17 სექტემბერი, ხელშეკრულება № 300.

¹⁹ ხელშეკრულება №401.

²⁰ 2011 წლის 14 მარტის № 1-03/59 ბრძანება, 2013 წლის 4 ივნისის № 1-03/133 ბრძანება.

²¹ 2014 წლის 22 ივლისის № 631 ბრძანება.

მიერ დაქირავებული აუდიტორული ფირმის საექსპერტო დასკვნას და არ ახორციელებდა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შემოწმებას

ამდენად, სამუშაოების ექსპერტიზის დამკვეთი არის მიმწოდებელი, შესაბამისად, ექსპერტიზის შემსრულებელი მომსახურების ობიექტურობასა და სისწორეზე პასუხისმგებელია მასთან. სასურველია, აუცილობლობის შემთხვევაში სამუშაოების საექსპერტო მომსახურება მუნიციპალიტეტმა თვითონ შეისყიდოს, რაც გაზრდის მიმწოდებლისა და საექსპერტო ფირმის პასუხისმგებლობას მუნიციპალიტეტის მიმართ.

საჯარიმო სანქციები

1. მუნიციპალიტეტის მიერ დარიცხული და ამოუღებელი ჯარიმები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხშირია მიმწოდებლებისათვის ვადის გადაწევის შემთხვევები. მიუხედავად ამისა, შემსრულებლები სამუშაოებს დაგვიანებით ახარებდნენ. აღნიშნულის გამო მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებზე დარიცხულია ჯარიმები: 2013 წელს - 5.8 ათასი ლარი, 2014 წელს - 152.8 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში - 1.5 ათასი ლარი. დარიცხული ჯარიმებიდან ამოუღებელი თანხა აუდიტის მიმდინარეობისას შეადგენდა 119.6 ათას ლარს, აქედან, 2013 წლამდე დარიცხული და ამოუღებელი თანხა არის 61.6 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მიმწოდებლების გარკვეულ ნაწილს, რომელთაც არ გადაუხდიათ ვადაგადაცილებისათვის დაკისრებული საჯარიმო თანხები, მაინც სრულად აუნაზღაურდათ შესრულებული სამუშაოების ღირებულება. მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთ შემთხვევაში მიმწოდებლისთვის დაჯარიმების შესახებ არ არის ნაცნობები.

მუნიციპალიტეტის მიერ, დარიცხული ჯარიმების ამოღების მიზნით აუდიტის მიმდინარეობის დროს სასამართლოში შეტანილია სარჩელი, 2-3 წლის დაგვიანებით. აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს სასამართლო დავები.

- 2012 წლის 1 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტსა და შპს „L ჯგუფს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება²², სოფელ უბისაში მდინარე ძირულაზე გაბიონის მოწყობასთან დაკავშირებით, თანხით 87.5 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 15 სექტემბერს. მიმწოდებელმა სამუშაოები შეასრულა დაგვიანებით, რის გამოც მუნიციპალიტეტმა მას 2013 წლის თებერვალში დააკისრა 24.4 ათასი ლარის ჯარიმა. ამ პერიოდისათვის მიმწოდებლის მიერ შესრულებული და აუნაზღაურებელი სამუშაო შეადგენდა 29.0 ათას ლარს. ჯარიმის დარიცხვის შესახებ მიმწოდებელზე ნაცნობები არის და მოთხოვნილია დაფარვა 1 მარტამდე, თუმცა თანხა გადახდილი არ არის, მაშინ როდესაც შესრულებული სამუშაოს დარჩენილი თანხა სრულადაა ანაზღაურებული.

- ნაპირსამაგრი სამუშაოების შეძენის მიზნით, მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „გუმბათი 7“-ს²³, თანხით 319.9 ათასი ლარი, რომელიც ვადის რამდენჯერმე გადაწევის შემდეგ უნდა დასრულებულიყო 2014 წლის 30 მარტს. კონტროლის ჯგუფის მიერ 2014 წლის 3 ივნისს შედგენილი დასკვნით ირკვევა, რომ „გუმბათი 7“ დაჯარიმებულია სამუშაოების დაგვიანებით ჩაბარებისათვის 49.6 ათასი ლარით²⁴. ამ პერიოდისათვის მიმწოდებლის მიერ შესრულებული და აუნაზღაურებელი სამუშაო შეადგენდა 35.7 ათასს

²² ხელშეკრულება № 3.

²³ 2013 წლის 13 სექტემბერის ხელშეკრულება № 295. სამუშაოები უნდა შესრულებულიყო სხვადასხვა მდინარეებზე 4 სოფელში, სულ - 11 ობიექტი.

²⁴ სამუშაოების დამთავრების ვადად ჩათვლილია 30 აპრილი, დაგვიანება - 31 დღე.

ლარს, რომელიც მიმწოდებელს ჩაერიცხა 6 ივნისს²⁵. ჯარიმის დარიცხვის შესახებ მიმწოდებელზე ნაცნობები არის და მოთხოვნილია დაფარვა 25 ივნისამდე, თუმცა თანხა გადახდილი არ არის.

- მუნიციპალიტეტმა 2014 წლის მაისში კიცხის ტერიტორიულ ერთეულში სასოფლო კლუბის შეკეთებასთან დაკავშირებით სამუშაოები შეისყიდა შპს „მშენებელი პირველისგან“, რომელმაც შემდეგ შეწყვიტა აღნიშნული ხელშეკრულება, რისთვისაც დაჯარიმდა 1.9 ათასი ლარით²⁶. მიმწოდებელზე ჯარიმის შესახებ ნაცნობები არ არის და არც თანხა არის გადახდილი.

2. მუნიციპალიტეტის მიერ დაუჯარიმებული მიმწოდებლები

2014 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით სამუშაოების ჩაბარებისთვის მიმწოდებლებზე არ არის გავრცელებული 41.7 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია:

- 2014 წლის მაისში მუნიციპალიტეტმა შპს „გეკასგან“ შეისყიდა ხარაგაული-ფარცხნალის გზის მოასფალტების სამუშაოები, თანხით 382.9 ათასი ლარი. მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2014 წლის 7 ივლისამდე²⁷. ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების გამო, სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 2 აგვისტო. სამუშაოების დასრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებელმა შემსყიდველს მიმართა 6 დღის დაგვიანებით. ვადაგადაცილებისათვის მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო 11.5 ათასი ლარი²⁸, რაც არ განხორციელებულა.

- 2013 წელს შპს „ჯი-აი-დი“-სთან მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება²⁹ დაბა ხარაგაულის ქუჩების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებზე თანხით 863.0 ათასი ლარი. მიმწოდებელს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2014 წლის 15 ივლისამდე. შემსრულებელმა სამუშაოების დამთავრებაზე მუნიციპალიტეტს მიმართა 7 დღის დაგვიანებით. სამუშაოს ვადის გადაცილებისათვის ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო 30.2 ათასი ლარის³⁰ ოდენობით, რაც მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია.

2013 წლის ბოლოს, სპორტული კომპლექსისათვის კრივის მოწყობილობის შეძენის მიზნით, ხელშეკრულება გაუფორმდა ი/მ გიორგი სამხარაძეს, თანხით 7.3 ათასი ლარი³¹. მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 16 იანვარამდე. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე, მიმწოდებელს ჩაერიცხა 5.0 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ მას მიწოდების ვადა გადაეწია 2014 წლის 16 მარტამდე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია, ხოლო ავანსად გაცემული თანხა მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა სადაზღვეო კომპანიიდან³². ხელშეკრულების მიხედვით, შემსყიდველს შეეძლო მიმწოდებლის დაჯარიმება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, აგრეთვე შეეწყვიტა ხელშეკრულება, თუ აღნიშნული თანხა გადააჭარბებდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს. მუნიციპალიტეტს ი/მ გიორგი სამხარაძე არ დაუჯარიმებია და არც რაიმე სახის სანქცია გაუტარებია.

²⁵ მიმწოდებლის მიერ შესრულებული ბოლო სამუშაოების ღირებულება 51.8 ათასი ლარი, მისი მოთხოვნით ჩაერიცხა ი/მ მეველუდ ლომიძეს.

²⁶ ხელშეკრულება №143.

²⁷ 2014 წლის 6 მაისის № 134 ხელშეკრულება.

²⁸ 382.6 ათასი ლარი X 6 დღე X 0.5%.

²⁹ ხელშეკრულება №291.

³⁰ 863.0 ათასი ლარი X 7 დღე X 0.5%.

³¹ 20 დეკემბერის ხელშეკრულება № 402.

³² სადაზღვეო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“.

შესყიდვის დროს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები

სატენდერო პირობების შეცვლა

მუნიციპალიტეტის მიერ სამუშაოების ელექტრონული შესყიდვის დროს სატენდერო დოკუმენტაციით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, პირგასამტეხლო გათვალისწინებული იყო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - 0,3% ან 0,5%-ის ოდენობით. ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულება გაფორმებულია შეცვლილი, შეღავათიანი პირობებით - სანქცია ჩადებულია 0,1%. მაშინ, როდესაც კანონმდებლობის მიხედვით³³, ტენდერის დროს მიმწოდებელთან ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე. აღნიშნულის შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის მიმწოდებლებს დაერიცხა გაცილებით ნაკლები სანქცია, ვიდრე უნდა დარიცხვოდათ:

- შპს „რეალმშენთან“ 2013 წელს დაბა ხარაგაულში ხელოვნულსაფარიანი მოედნის სამშენებლო სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის, ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის ნაცვლად დაერიცხა 0,1%, თანხით - 15.5 ათასი ლარი, არ არის დარიცხული 31.0 ათასი ლარი (2012 წლის ხელშეკრულება № 139).
- ი/მ მევლუდ ძიძიგურს 2013 წელს სოფელ ხევში სოფლის სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის, ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის ნაცვლად დაერიცხა 0,1%, თანხით - 7.9 ათასი ლარი. არ არის დარიცხული 15.8 ათასი ლარი (2012 წლის ხელშეკრულება №158).
- შპს „მშვიდობას“ 2013 წელს სოფელ ხევში მდ. ძირულაზე ხიდის მოწყობის სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის, ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის ნაცვლად დაერიცხა 0,1%, თანხით - 3.4 ათასი ლარი. არ არის დარიცხული 6.8 ათასი ლარი (2012 წლის ხელშეკრულება № 258).
- შპს „ფუგოს“ 2014 წელს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების დაგვიანებით შესრულებისათვის, ჯარიმა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,5%-ის ნაცვლად დაერიცხა 0,1%, თანხით - 0.5 ათასი ლარი. არ არის დარიცხული 2.0 ათასი ლარი (2013 წლის ხელშეკრულება № 358).

შესყიდვებისას დაშვებული სხვა ტექნიკური ხარვეზები

➤ 2013 წელს ტენდერის საშუალებით შესყიდულია „სოფელ ხევში მდინარე ძირულაზე ხიდის მოწყობის სამუშაოები“³⁴, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, სამუშაოები შესრულებულია „ხარაგაულის რაიონის სოფელ ხევში მდ. სურამულაზე“, რომელიც მიედინება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეალურად კი ხიდის მშენებლობა განხორციელდა მდინარე რიკოთულაზე. აღსანიშნავია, რომ მდინარე სურამულა მიედინება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და არ კვეთს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს.

➤ 2013 წლის ბოლოსათვის სოფელ ვარძიაში საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიგეგმა ისეთ ადგილას, სადაც განთავსებული იყო ვარძიის ყოფილი საკრებულოს შენობა. საჭირო

³³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 7 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“.

³⁴ 2012 წელი ხელშეკრულება № 258.

გახდა არსებული შენობის დემონტაჟისათვის ახალი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, დამატებით 8.1 ათასი ლარის გამოყოფა და სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა³⁵.

➤ 2013 წელს სოფლებში: ვახანში, ლელვანსა და ვარძიაში საბავშვო ბაღების მშენებლობები ისე დაიწყო, რომ მიწა, სადაც შენდებოდა ბაღები, მუნიციპალიტეტის საკუთრებას არ წარმოადგენდა. მათი მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირება მოხდა ბაღების მშენებლობის დასრულების შემდეგ, 2014 წელს.

➤ 2014 წელს სოფელ ხიდარში ბაღის მშენებლობა, ხელშეკრულების მიხედვით, დაწყებულია 1 მაისს³⁶, მშენებლობისათვის საჭირო მიწა (344 კვ.მ) მუნიციპალიტეტის საკუთრებად საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია 10 ივნისს.

➤ 2013 წლის ბოლოს, მუნიციპალიტეტმა სოფელ ზვარის საბავშვო ბაღის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე გაუფორმა ხელშეკრულება ი/მ შმაგი გიგაშვილს³⁷. მიმწოდებელმა სამუშაოები ვერ შეასრულა, რადგან არ იყო შესაბამისი პირობები (სახურავი იყო დაზიანებული და ჩამოდიოდა წყალი). სახურავის შეკეთებისა და ბაღის სარემონტო სამუშაოები შემდგომში შეასრულეს სხვა მიმწოდებლებმა. პროექტი დასრულდა 2014 წლის ბოლოს. საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოების თანმიმდევრულად შესყიდვის შემთხვევაში, დროულად მოხდებოდა სამუშაოების დასრულება.

➤ 2014 წელს შპს „მშენებელი პირველი“ ასრულებდა სოფელ კიცხის კლუბის სარემონტო სამუშაოებს³⁸. არასწორად შედგენილი ხარჯთაღრიცხვის გამო საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების შესრულება, რისთვისაც თანხები არ გამოყოფილა. მიმწოდებელმა შეასრულა სამუშაოს ნაწილი (5.0 ათასი ლარი) და შეწყვიტა ხელშეკრულება. სამუშაოები დაასრულა შპს „ინტელექტა“³⁹ 2015 წელს ივნისში. ამდენად, კლუბის რემონტი დასრულდა ერთი წლის დაგვიანებით, ვიდრე დაგეგმილი იყო.

➤ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი კინოთეატრის სცენის განათების, გახმოვანების, სცენის შეძენისა და გამართვის შესყიდვაზე. ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა⁴⁰ სამუშაოები შეაჩერა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტი არ ფლობდა სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სიმძლავრის ელექტროენერგიის წყაროს. აღნიშნული მიზეზით სამუშაოები დასრულდა 5 თვის დაგვიანებით. ამდენად, მუნიციპალიტეტმა ისე დაიწყო კინოთეატრის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, რომ არ გააჩნდა სამუშაოების შესასრულებლად საჭირო პირობები, რის გამოც სამუშაოების დამთავრების ვადამ გადაიწია. შედეგად, მოსახლეობამ აღნიშნული სიკეთით ისარგებლა დაგვიანებით.

➤ 2013 წელს დაბა ხარაგაულში, გიმნაზიის ეზოს მიმდებარე საყრდენი კედლისა და ღობის მოწყობის სამუშაოების შესრულებაზე ხარჯთაღრიცხვაში არსებული ხარვეზების გამო, საჭირო გახდა მეორე ხელშეკრულების გაფორმება ი/მ სიმონ ვეფხვაძესთან, რის გამოც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 6.1 ათასი ლარი.

³⁵ 2013 წლის 30 სექტემბერის № 311 ხელშეკრულება შპს „მშენებელი პირველთან“, თანხით - 99.8 ათასი ლარი.

³⁶ 2014 წლის 1 მაისს შპს „მშენებელი პირველთან“ გაფორმებული № 125 ხელშეკრულება. ბაღის მშენებლობა დაჯდა 101.7 ათასი ლარი.

³⁷ ხელშეკრულება №397.

³⁸ 2014 წლის 2 მაისის № 143 ხელშეკრულება, 8.8 ათასი ლარი.

³⁹ 2015 წლის ხელშეკრულება № 80 ხელშეკრულება, 7.0 ათასი ლარი.

⁴⁰ მიმწოდებელი შპს „შოუ ტექნიკის ცენტრი“, 4 აპრილის № 102 ხელშეკრულება.

➤ 2013 წლის 13 სექტემბერს, მდინარეებზე ნაპისამაგრი სამუშაოების შესრულების მიზნით, ხელშეკრულება გაუფორმდა შპს „გუმბათი 7-ს“⁴¹, თანხით 319.9 ათასი ლარი. შეთანხმების საფუძველზე, მუნიციპალიტეტმა სამუშაოების დამთავრების ვადა ისე გაუგრძელა მიმწოდებელს, რომ არ მოუთხოვია ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ვადის გადაწევა.

➤ 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სამუშაოსა და მომსახურების ხარისხის დაცვის მიზნით, მიმწოდებელს საგარანტიო ვადის გასვლამდე უკავდებოდა ასანაზღაურებელი თანხის 2.5%. 3 შემთხვევაში არ არის დაკავებული საგარანტიო თანხა, 3.5 ათასი ლარი⁴².

➤ 2014 წელს მუნიციპალიტეტმა შპს „შოუ ტექნიკის ცენტრიდან“, კინოთეატრის სცენის მოწყობის სამუშაოების მიღება (შესრულებულია 48.9 ათასი ლარის სამუშაო), ისე განახორციელა, რომ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 1 ივლისამდე ჯამში გახარჯულია 1665.1 ათასი ლარი, საიდანაც მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით განხორციელდა 52.0 ათასი ლარის სამუშაოები.

(ათასი ლარი)

2013 წელი			2014 წელი			2015 წლის 6 თვე		
სულ	სახელმწიფო ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტიდან	საკუთარი შემოსავლები
775,2	769,3	5,9	808,1	782,1	26	81,8	61,7	20,1

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ძირითადად შესყიდულია საგზაო სამუშაოები, წყლის სისტემის მოწყობის, სარიტუალო სახლების მშენებლობის, სოფლის კლუბების რეაბილიტაციისა და სხვა სამუშაოები. ასევე შეძენილია სამშენებლო მასალები. მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები რიგ შემთხვევაში გარდამავალია და რამდენიმე წლის განმავლობაში სრულდება.

პროექტები, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის ერთ-ერთი კრიტერიუმია ის, რომ პროგრამით სარგებლობის საშუალება ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამუშაოების შემდგომი გამოყენების შესწავლით გამოვლინდა, რომ ზოგ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა ვერ სარგებლობს პროგრამის ფარგლებში შესრულებული 84.9 ათასი ლარის ღირებულების პროექტებით, კერძოდ:

⁴¹ 2013 წლის ხელშეკრულება № 295.

⁴² 2014 წლის ხელშეკრულებები: № 99; №102; 2015 წლის ხელშეკრულება: №7.

➤ საანგარიშო პერიოდში სოფლებში განხორციელებულია სარიტუალო სახლების მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, რომელიც გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში და დასრულებული არ არის. მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში (ხევი, წაქვა, მარელისი და წიფა) ამ მიზნით გახარჯულია 72.9 ათასი ლარი და მოსახლეობა ვერ სარგებლობს ამ პროექტებით⁴³.

➤ სოფელ ფარცხნალში 2009-2013 წლებში მიმდინარეობდა სამკურნალო აბანოს მშენებლობა, რაზეც გაიხარჯა 20.6 ათასი ლარი (მ.შ. 2013 წელს - 2.4 ათასი ლარი), მაგრამ აბანოს შენობა დამთავრებული არ არის. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოსახლეობას არ უსარგებლია აღნიშნული აბანოთი და არც მომავალში იგეგმება თანხების გამოყოფა მის დასასრულებლად.

➤ 2014 წელს სოფელ ლელვანში შეძენილია წყლის მილები და ავზი, ღირებულებით 3.0 ათასი ლარი⁴⁴, რომლის დამონტაჟებაც მოსახლეობას უნდა განეხორციელებინა. აღნიშნული მასალები (მილები, ავზი) გამოყენებული არ არის, რადგან პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მოსაწყობია ამ ავზებში შემაღალი წყლის სათავე ნაგებობა. შესაბამისად, მოსახლეობა ამ პროექტით ვერ სარგებლობს.

➤ სოფელ ხემაღალში 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, წყლის სისტემის რაეზილიტაციის მიზნით შესყიდულია ავზები და მოეწყო მილები⁴⁵. ჯამში გაიხარჯა 4.0 ათასი ლარი, თუმცა მოსახლეობას წყალი მაინც არ მიეწოდება, რადგან წყლის სათავე, საიდანაც უნდა მომხდარიყო ავზების წყლით მომარაგება, მშენებლობის პროცესშია. მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული პროექტით.

➤ სოფელ ამაშუკეთში შესყიდულია ელექტროწისქვილის მოწყობის სამუშაოები, რაზეც 2015 წელს გაიხარჯა 2.0 ათასი ლარი⁴⁶. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ვერ ხერხდება წისქვილის დაერთება ელექტროენერგიის მომარაგების წყაროსთან და მოსახლეობა ვერ სარგებლობს ამ პროექტით.

➤ 2014 წელს სოფელ ფარცხნალის წყლის სისტემის მოწესრიგების მიზნით, შესყიდულია 700 გრძ/მ პლასტმასის მილები⁴⁷, თანხით 0.6 ათასი ლარი, რომელიც აუდიტის მიმდინარეობისას დაუმონტაჟებელი იყო. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, წყლის დებეტის არარსებობის გამო არ მოხდა მილების მოწყობა და წყლის რესურსის მოძიების შემდგომ დასრულდება სამუშაოები. მოსახლეობა ვერ სარგებლობს ამ პროექტით.

ამდენად აღნიშნული სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ მიზნობრიობას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 2015 წელს მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლისგან შეისყიდა ვახანის ტერიტორიულ ერთეულში, სოფელ ზედუბანში ელექტროწისქვილის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით 7.1 ათასი ლარი⁴⁸. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, შენობის საჯარო რეესტრში დაურეგისტრირებლობის გამო, ვერ ხერხდება წისქვილის დაერთება ელექტროენერგიის მომარაგების წყაროსთან.

ამრიგად, მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული 92.0 ათასი ლარის სამუშაოებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

⁴³ მუნიციპალიტეტის განმარტებით 2015 წლიდან გარდამავალი ხასიათის პროექტები აღარ ხორციელდება.

⁴⁴ 2014 წლის ხელშეკრულება №173.

⁴⁵ 2014 წელს - ხელშეკრულებები №216, №313; 2015 წელს - ხელშეკრულება №181.

⁴⁶ 2015 წელს - ხელშეკრულება №105.

⁴⁷ ხელშეკრულება №191.

⁴⁸ 2014 წლის ხელშეკრულება №416.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით⁴⁹ სოფელ ხიდარში მიმდინარეობდა ბაღის მშენებლობა, რომლის ღირებულებამაც შეადგინა 101.7 ათასი ლარი. მშენებლობა დასრულდა და მუნიციპალიტეტმა სამუშაოები ჩაიბარა სექტემბერში, ხოლო ბაღმა ფუნქციონირება დაიწყო ერთი წლის შემდეგ, 2015 წლის ოქტომბერში. 2014 წელს რეაბილიტაცია ჩატარდა ზვარის საბავშვო ბაღს, თანხით 48.5 ათასი ლარი⁵⁰, თუმცა ბაღი გაიხსნა 2015 წლის ბოლოს.

ქონების შეძენა

2013 წლის დეკემბრში მუნიციპალიტეტის მიერ ფ/პ ლალი ტალახაძისაგან შეძენილია დაბა ხარაგაულში მდებარე 85 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ყოფილი ავტოსადგურის შენობა), რომელშიც გადახდილია 10.0 ათასი ლარი. შენობა საჭიროებს რემონტს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფართი შეძენილია ა(ა)იპ „სათნოების სახლისათვის“, რომელიც ახორციელებს უმწეოთა კვებით მომსახურებას. ა(ა)იპ ამჟამად განთავსებულია დაქირავებულ ფართში. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ 2 წელია შეძენილია აღნიშნული შენობა, დღეის მდგომარეობით ის გამოყენებული არ არის, ხოლო ა(ა)იპ „სათნოების სახლს“ ყოველწლიურად ფართის დაქირავებში გადახდილი აქვს 3.0 ათასი ლარი. 2016 წლის ბიუჯეტით აღნიშნული შენობის რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 10.0 ათასი ლარი.

ინერტული მასალის მოპოვება

მუნიციპალიტეტის მიერ 2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, „სოფლის მხარდამჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფლის გზების მოწესრიგებაზე დახარჯულია 708.9 ათასი ლარი⁵¹, რომელიც ძირითადად მოიცავს გზების მოხრეშვის სამუშაოებს. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვებითა და სამუშაოების შესრულების აქტებით დადგინდა, რომ ინერტული მასალის ღირებულება მიმწოდებლებზე გადახდილი არ არის. არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ინერტული მასალის მოპოვება ხდებოდა არალიცენზირებული კარიერიდან მაშინ, როდესაც „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულებით⁵² სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება დაიშვება მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე.

სამსახურებრივი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცდა „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“, რომლითაც განისაზღვრა და დადგინდა ავტომანქანების რაოდენობისა და გამოყენების ნორმა. მთავრობის მიერ რეკომენდაცია მიეცა ადგილობრივ თვითმმართველობებს ავტომობილების შესყიდვის, ჩანაცვლებისა და განაწილების დროს ეხელმძღვანელათ აღნიშნული წესით. დადგენილი ნორმების მიხედვით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას უნდა

⁴⁹ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. საქართველოს მთავრობის № 34 განკარგულება. 13.01.2014.

⁵⁰ შპს „კ და გ“ - ხელშეკრულება № 356, თანხით - 24.3 ათასი ლარი და შპს „ინდუსტრია 21“ - ხელშეკრულება № 105, თანხით - 24.1 ათასი ლარი.

⁵¹ 2013 წელს - 308.2 ათასი ლარი, 2014 წელს - 367.9 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში - 32.8 ათასი ლარი.

⁵² დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 136 დადგენილებით.

ემსახურებოდა: 2014 წელს - 7 ავტომანქანა, ხოლო 2015 წელს - 6. ფაქტობრივად, კი 2014 წელსა და 2015 წლის 6 თვეში მათ ემსახურებოდა 10 ავტომანქანა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის ბოლოს, მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ნიუ არტისგან“ შეძენილია მაღალი გამავლობის „ჯიპის“ მარკის ავტომანქანა, თანხით 11.8 ათასი ლარი⁵³, რომელიც 2015 წლის იანვარში, თხოვნის წესით, სამი წლის ვადით, გადაეცა სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციას. შეზღუდული ადგილობრივი რესურსების პირობებში სახელმწიფო ორგანოებზე მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯების გაწევის მიზანშეწონილობის შეფასება, სცილდება აუდიტის ჯგუფის მანდატს.

შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემული პრემიები და დანამატები

მუნიციპალიტეტში სააუდიტო პერიოდში პრემიისა და დანამატის სახით სულ გაცემულია 371.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ პრემიის გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებული არ არის⁵⁴. იგი გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე. დანამატი თანამშრომლებზე გაცემულია გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეებზე გაცემულია დამატებითი ანაზღაურება - პრემია და დანამატი სულ 47.5 ათასი ლარი⁵⁵. შტატგარეშე მოსამსახურეები მუნიციპალიტეტს აყვანილი ჰყავს მუდმივი ამოცანების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. სამუშაოს შესრულებისთვის იღებს შრომით გასამრჯელოს. ამასთანავე, შტატგარეშე მოსამსახურეებთან დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა დამატებით ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი საჭიროდ მიიჩნევს შტატგარეშეთა წახალისებას, სასურველია, მათთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდეს დაქირავებულის წახალისების მიზნით დამატებითი ანაზღაურების გაცემის შესაძლებლობასა და პირობებს.

მუნიციპალიტეტის მიერ ა(ა)იპ-ების დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მათზე კონტროლი

მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით უფლება აქვს, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ორგანიზებას გაუწევს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში.

2013 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა და ფინანსდებოდა 14 ა(ა)იპ და ერთი შპს „ხარაგაული 2011“. 2013 წელს დაფუძნებულია ორი ა(ა)იპ: „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიგა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი“ და „რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი“. აღსანიშნავია, რომ ახალშექმნილი ა(ა)იპ-ების წესდებებისა და წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზით გამოვლინდა მათი ფუნქციებისა და მოვალეობების გადაკვეთა კულტურისა და სპორტის სფეროში არსებული ა(ა)იპ-ების ფუნქციებთან.

⁵³ 2014 წლის ხელშეკრულება № 390.

⁵⁴ 2015 წლის 5 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებულია პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი.

⁵⁵ 2013 წელს პრემია - 26.6 ათასი ლარი, 2014 წელს პრემია - 12.1 ათასი ლარი და დანამატი 8.1 ათასი ლარი, 2015 წელს - პრემია 0.6 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებს და შპს-ს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით მიღებული აქვს 6600.1 ათასი ლარის სუბსიდია (გადასახდელების 29%)⁵⁶. სუბსიდიები წარმოადგენს⁵⁷ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის (ჩვენს შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის) მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამდენად, სუბსიდიის გაანგარიშება უნდა მოხდეს მისი მოთხოვნის დროს. რაც მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა.

ბიუჯეტში ა(ა)იპ-ების დაფინანსება განისაზღვრა მათ მიერ წარმოდგენილი ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციისა და საშტატო ნუსხების მიხედვით, არ არის წარმოდგენილი სუბსიდიით განსახორციელებელი პროგრამების ფარგლებში შესასრულებელი ღონისძიებები. კერძოდ, ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავება“ და ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობის“ შემთხვევებში, არ არის დასაბუთებული მიღებული სუბსიდიით რა სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, რა პერიოდულობითა და მოცულობით. არც ხელშეკრულებით ან რაიმე ფორმით არის მიცემული დავალება კონკრეტული სამუშაოს შესრულებაზე. ა(ა)იპ-ები საქმიანობდნენ მათივე წესდებით განსაზღვრული ზოგადი სამუშაოების მიხედვით, თავიანთი შეხედულებისამებრ. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „ხარაგაულ დასუფთავების“ მიერ მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 707.3 ათასი ლარი⁵⁸, ხოლო ა(ა)იპ „ხარაგაულ კეთილმოწყობისამ“ - 670.1 ათასი ლარი⁵⁹.

ა(ა)იპ-ებში 2014 წელს შრომის ანაზღაურება წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1.5-ჯერ, 633.0 ათასი ლარით. 2015 წელს ზრდა დაგეგმილია 705.0 ათასი ლარით (38%). „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების ზრდა ძირითადად გამოწვეულია დასაქმებულთა რიცხოვნების მატებით. 2013 წელს ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 390 კაცი. მიღებული 2076.7 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1259.8 ათასი ლარი (61%). 2014 წელს დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 177-ით და შეადგინა 567 კაცი. მიღებული 2791.6 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1935.8 ათასი ლარი (69%). 2015 წლის 6 თვეში დასაქმებულთა რაოდენობა კვლავ გაიზარდა 14-ერთეულით და შეადგინა 581 კაცი. მიღებული 1687.0 ათასი ლარის სუბსიდიიდან შრომის ანაზღაურებაზე გაცემულია 1296.3 ათასი ლარი (77%). აღსანიშნავია, რომ კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის სფეროს ა(ა)იპ-ების⁶⁰ დაფინანსების (ხარჯების) 80-90% მოდის შრომის ანაზღაურებაზე.

2015 წელს 2013 წელთან შედარებით ა(ა)იპ -ებს შტატები გაზრდილი აქვთ შემდეგი რაოდენობით: „ხარაგაულ დასუფთავებას“ - 64 ერთეულით, „ხარაგაულ კეთილმოწყობას“- 29-ით, „კულტურის ცენტს“- 15 -ით, „ხალხური შემოქმედების ცენტრს“-10 -ით, „სათნოების სახლს“-5-ით და სხვ. ა(ა)იპ-ების უმრავლესობის მიერ შტატების რაოდენობა ისეა გაზრდილი, რომ არ არის დასაბუთებული კონკრეტულად რა გარემოებებით არის გამოწვეული. ასე მაგალითად: ა(ა)იპ „სათნოების სახლში“ 2013 წელს დასაქმებული იყო 8 კაცი, ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენდა 58-ს, ხოლო 2014 წელს ბენეფიციარების რაოდენობა გაიზარდა 3 კაცით, შტატების რაოდენობა კი - 5 ერთეულით.

⁵⁶ ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვისა“ და ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ დაფინანსება „სუბსიდიის“ მუხლის ნაცვლად განხორციელებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით, 2013 წელს - 149.5 ათასი ლარი, 2014 წელს - 190.2 ათასი ლარი.

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“.

⁵⁸ 2013 წელს გაწეულია 170.7 ათასი ლარის ხარჯი, 2014 წელს - 284.4 ათასი ლარის, 2015 წლის 6 თვეში - 252.2 ათასი ლარის.

⁵⁹ 2013 წელს გაწეულია 200.9 ათასი ლარის ხარჯი, 2014 წელს - 242.4 ათასი ლარის, 2015 წლის 6 თვეში - 226.8 ათასი ლარის.

⁶⁰ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“; „მ.ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, „თამაზ გიორგაძის სახელობის სასპორტო სკოლა“, „ისტორიული მუზეუმი“, „ცენტრალური ბიბლიოთეკა“, „ხალხური შემოქმედების სახლი“ და „კულტურის ცენტრი“.

ა(ა)იპ-ების წესდების მიხედვით, მათი საქმიანობის კანონიერების, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა ევალება თვითმმართველობას. საკრებულოს 2011 წლის 3 იანვრის № 3 განკარგულებით ა(ა)იპ-ებისა და შპს-ს მმართველ ორგანოდ განისაზღვრა საკრებულო, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ ეს უფლება გადაეცა გამგეობას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს ა(ა)იპ-ებისათვის არ მოუთხოვია ინფორმაცია გაწეული საქმიანობის, მიღებული სუბსიდიის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით ვერ დასტურდება შტატების ზრდის აუცილებლობა. სასურველია მუნიციპალიტეტმა განიხილოს შტატების ოპტიმიზაციის საკითხი, რათა გაიზარდოს მათი საქმიანობის პროდუქტიულობა და მოხდეს საბიუჯეტო რესურსების რაციონალური გამოყენება.

შპს „ხარაგაული 2011“-ის დაფუძნება და საქმიანობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ⁶¹ 2011 წლის 7 თებერვალს დაფუძნებულია შპს „ხარაგაული 2011“. წესდების მიხედვით, მის ძირითად საქმიანობად განისაზღვრა ფიზიკური და იურიდიული პირების ავტოტრანსპორტითა და სხვა ტექნიკით მომსახურება. 2011 წლის 14 მარტს შპს-ს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცა 118.3 ათასი ლარის ღირებულების 16 დასახელების სხვადასხვა ტექნიკა.

2014 წლის ნოემბერში გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტითა და დეკემბერში კერძო აუდიტორული ფირმის⁶² მიერ გაცემული დასკვნით ირკვევა: შპს-ში არ ჩატარებულა ქონების ინვენტარიზაცია; მისი კუთვნილი ქონება (9 ერთეული ტექნიკა) გადაცემულია სხვადასხვა ფიზიკურ პირზე; ტექნიკა გაბნეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ზოგიერთი უმეტესაღმწიფრედ არის მიტოვებული, ტექნიკის ნაწილი არამუშა მდგომარეობაშია და გამარცვულია. 2015 წლის 21 აპრილს, შპს-ს ხელმძღვანელობამ გამგეობას წარუდგინა აუდიტის დასკვნა და სთხოვა მუნიციპალიტეტის ბალანსზე იმ ტექნიკის აყვანა, რომელიც არ ექვემდებარებოდა აღდგენას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მათი ძალებით მიმდინარეობს აღნიშნული ფაქტის შესწავლა.

მუნიციპალიტეტისა და შპს-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: 2012 წელს საკრებულოს განკარგულებით, შპს-ს გადაეცა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან 150.0 ათას ლარად შეძენილია გზის გრეიდერი, რომლითაც უნდა ესარგებლა ყველა ტერიტორიულ ორგანოს. შპს-ის მიერ ხდებოდა გრეიდერის გაქირავება და მიღებულმა შემოსავალმა აუდიტის პერიოდში შეადგინა 84.1 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შპს-ის ხარჯების დაფარვას. გარდა ამისა, გამგეობამ შპს, გრეიდერის აღსადგენად, დააფინანსა 10.0 ათასი ლარით. ამდენად, მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ტექნიკა ძირითადად მოხმარდა შპს-ის ინტერესებს. აქვე აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტის დასკვნით, შპს-მ 2013 წელი დაასრულა ზარალით. 2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგება მუნიციპალიტეტში წარდგენილი არ არის.

საგზაო ინფრასტრუქტურის „მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯების“ მუხლიდან შპს „ხარაგაული 2011“-ს სუბსიდიის სახით 2014 წელს ჩაერიცხა 26.3 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში კი - 9.5 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით

⁶¹ საკრებულოს განკარგულება № 11.

⁶² შპს „ლუსა-აუდიტი“.

ირკვევა, რომ სუბსიდია გამოიყო ხარაგაული-ოკუშერა-თეთრაწყაროს სამარშუტო ხაზზე მოსახლეობის შეღავათიანი ფასებით მგზავრობისათვის, აგრეთვე შპს-ზე გადაცემული ტექნიკის მოვლა-შენახვისათვის (სათადარიგო ნაწილების, რემონტის, საწვავისა და ხელფასებისათვის).

შპს „ხარაგაული 2011“-ის მიერ მოთხოვნილ სუბსიდიაზე რაიმე გაანგარიშება მუნიციპალიტეტში წარდგენილი არ არის. არც ხელშეკრულებაა გაფორმებული შესასრულებელ სამუშაოსა და მომსახურებაზე. ამდენად, შპს-ზე დასაბუთების გარეშე გაცემულია 35.8 ათასი ლარის სუბსიდია.

ვაზის სანერგე მეურნეობის სუბსიდირება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 თებერვლის №11 განკარგულებით დამტკიცდა „სოფელ კიცხში ვაზის სანერგე მეურნეობის მოწყობისა და დარგის აღორძინების“ პროგრამა, რომლის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო ვაზის სანერგე მეურნეობის მოწყობა და ნამყენი ვაზის ნერგების მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე უფასოდ გადაცემა. 2014 წელს ი/მ ლალი ოქრომჭედლიძეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით ჩაერიცხა 25.0 ათასი ლარი. გამოყვანილი ვაზის ნერგები გამგებლის ბრძანებით, 2015 წლის გაზაფხულზე გადაეცა სოციალურად დაუცველ 70 ოჯახს, თითოეულს - 10-დან 350 ძირამდე, სულ გაცემულია 6060 ძირი. აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტმა 6.0 ათასი ძირი ვაზის ნერგში გადაიხადა 25.0 ათასი ლარი, ერთი ძირის ნერგის გამოყვანა დაჯდა 4.1 ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ამ პერიოდისათვის მის საბაზრო ფასს⁶³.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ საბუთდება ვაზის სანერგე მეურნეობის არსებობის აუცილებლობა და განვითარების პერსპექტივა, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

2015 წელს ზემოთ აღნიშნული პროგრამის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 30.0 ათასი ლარი, საიდანაც შპს „ხარაგაული 2011“-ს გამოეყო 15.0 ათასი ლარი და 2015 წლის 6 თვეში ჩაერიცხა 9.0 ათასი ლარი. შპს-ის მიერ ვაზის ნერგის გამოყვანის მიზნით ხელშეკრულება გაფორმებულია ფ/პ ამირან ოქრომჭედლიძესთან, რომელსაც გადაერიცხა 6.5 ათასი ლარი, ხოლო 2.5 ათასი ლარი გამოყენებულ იქნა პრეპარატების შესაძენად. პროექტი დასრულებული არ არის.

დაუსაბუთებელი ხარჯები

სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების⁶⁴ თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული წესით შესყიდული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ანაზღაუროს მეწარმის მიერ ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების შესაბამისად. ასევე დაქირავებულ მანქანა-მექანიზმებს არ დაარიცხოს ზედნადები ხარჯები და გეგმური დაგროვება.

⁶³ მოძიებული ინფორმაციით, 1 ძირი ნერგის ფასი არის 1-2 ლარი.

⁶⁴ 2013 წელს მოქმედებდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის შესახებ“.

2013-2014 წლებსა და 2015 წლის 6 თვეში მუნიციპალიტეტის მიერ სულ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული 252 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდულია 1694.8 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები. საანგარიშგებო პერიოდში მუნიციპალიტეტი არ ითხოვდა მიმწოდებლებისგან ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაციას. აღნიშნული წარმოშობს რისკს იმისას, რომ საბიუჯეტო სახსრები ზედმეტად იქნა დახარჯული. მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებლებისგან გამოითხოვა შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების შესახებ დოკუმენტაცია, მაგრამ მათ მიერ ის არ იქნა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, საჭიროა თვითმმართველმა ერთეულმა გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2012 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან⁶⁵ შეხვედრების ორგანიზების, სტუმრების მიღებისა და სხვა წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსების მიზნით, გამოეყო 16.0 ათასი ლარი, საიდანაც 2013 წლის 1 იანვრისათვის აუთვისებელმა თანხამ შეადგინა 12.6 ათასი ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ხაზინაში არ დაუბრუნებია და არც ნებართვაა მიღებული აღნიშნული თანხის შემდგომ ხარჯვაზე.

მუნიციპალიტეტის მიერ „წარმომადგენლობითი ხარჯების“ მუხლით გახარჯულია: 2013 წელს - 16.2 ათასი ლარი, 2014 წელს - 22.4 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში - 2.0 ათასი ლარი, სულ - 40.6 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ამ მუხლიდან 2013-2014 წლებში გაწეულია სხვადასხვა რესტორნის მომსახურების ხარჯები. წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება სტუმრების ვინაობა, ღონისძიების დასახელება და ადგილი, ჩატარების თარიღი და სხვ. სულ დაუსაბუთებელმა ხარჯმა შეადგინა 21.5 ათასი ლარი, საიდანაც გამგებლის მიერ გაწეულია 13.8 ათასი ლარის⁶⁶, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ კი -7.8 ათასი ლარის ხარჯი⁶⁷. დარჩენილი 19.0 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, დელეგაციებისა და სტუმრების მიღება.

სააუდიტო პერიოდში წარმომადგენლობითი ხარჯებზე გაწეული 40.6 ათასი ლარიდან, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 75 ოფიციალურ სადღიზე გახარჯულია 32.3 ათასი ლარი.

საკრებულოს წევრის ხარჯები

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობიდან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ანაზღაურებადია მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის საქმიანობა. საკრებულოს წევრს შეიძლება აუნაზღაურდეს საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. საკრებულოს მიერ მიღებულია საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და ხარჯების ზღვრული ოდენობა.

⁶⁵ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ილისის № 1380 განკარგულება.

⁶⁶ 2013 წელს 10.0 ათასი ლარი, 2014 წელს 3.8 ათასი ლარი.

⁶⁷ 2013 წელს 5.5 ათასი ლარი, 2014 წელს 2.3 ათასი ლარი.

საკრებულოს სხდომებსა და მისი ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისთვის, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრზე თვეში გაცემულია, თავდაპირველად 150 ლარი, შემდომ კი - 350 ლარი⁶⁸. აღნიშნული წესით ხარჯები ანაზღაურებულია, როგორც საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ შრომით გასამრჯელოს, აგრეთვე საკრებულოს თანამდებობის პირებზე⁶⁹, მაშინ როდესაც კანონდებლობის მიხედვით აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება დასაშვებია მხოლოდ საკრებულოს წევრებზე, რომელთაც არ უკავიათ თანამდებობები.

2014 წელს საკრებულოს მიერ საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ სახელფასო ანაზღაურებას, დამტკიცდა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ახალი წესი⁷⁰, რომლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან საკრებულოს წევრის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის დაშორების გათვალისწინებით, ხარჯების ანაზღაურებისათვის გაიცემა თვეში მაქსიმუმ 500 ლარი⁷¹.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს თანამდებობის პირებზე ხარჯების ანაზღაურების სახით, საანგარიშო პერიოდში დახარჯული თანხა სულ 215.2 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის, 2013 წელს - 70.8 ათასი ლარი, 2014 წელს - 81.7 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 6 თვეში - 62.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხებიდან თანამდებობის პირებზე საკრებულოს სხდომებში და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად კანონის დარღვევით გაცემულია 33.1 ათასი ლარი⁷².

წარმოდგენილი ინფორმაციით, ხარჯის ანაზღაურება ხორციელდებოდა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომლის საფუძველია აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათი, სადაც ნაჩვენებია საკრებულოს წევრების მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში. აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს კონკრეტულად გაწეული დანახარჯების შესახებ და არ არის საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება ხარჯის დასადასტურებლად.

საკრებულოს თანამდებობის პირების საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა წარმოაგენს მათ ძირითად საქმიანობას, რისთვისაც ეძლევათ შრომის ანაზღაურება (ხელფასი, პრემია, ჯილდო). აღნიშნული საქმიანობისათვის დამატებით 33.1 ათასი ლარის გაცემა კი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

გაცემული სოციალური დახმარებები

მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სოციალური პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 1688.4 ათასი ლარი. სოციალური დახმარების პროგრამები და დახმარების გაცემის წესი დამტკიცებულია საკრებულოს მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები და ნაკლოვანებები. კერძოდ:

- სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების მიზნით, პროგრამიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გაწეულია 1140.5 ათასი ლარის ხარჯი. დებულების მიხედვით, სამედიცინო მომსახურების (ოპერაცია, მშობიარობა, მკურნალობა, გამოკვლევა) გაწევისა და მედიკამენტებით

⁶⁸ 2013 წელსა და 2014 წლის 9 თვეში, არაანაზღაურებად საკრებულოს წევრზე 150 ლარი გაცემულია 2013 წლის 5 თვეში, შემდგომ კი - 350 ლარი.

⁶⁹ საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ფრაქციის თავმჯდომარე, მათ მიეცემოდა 150 ლარი.

⁷⁰ საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №24 დადგენილება.

⁷¹ დადგენილებით განსაზღვრულია 400, 450 და 500 ლარი.

⁷² ხარჯები გაწეულია 2013 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 სექტემბრამდე.

დახმარების ერთ-ერთ პირობას (კრიტერიუმს) წარმოადგენდა ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, სარეიტინგო ქულის შესახებ. მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული მონაცემებით, ამ მუხლით გაწეულია 83.6 ათასი ლარის⁷³ დახმარება ისეთ პირებზე, რომლებიც არ იყვნენ აღრიცხული სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

- ზემოთ აღნიშნული პროგრამიდან სადღესასწაულო დღეებში გაცემულია 76.8 ათასი ლარის⁷⁴ დახმარება. მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამით არ არის დადგენილი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება, თუ ვის უნდა მისცემოდა დახმარება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამიზნე ჯგუფის შერჩევა ხორციელდებოდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ, ხოლო ბენეფიციარების შერჩევა - გამგებლის წარმომადგენლის (რწმუნებულის) მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია რისკი იმისა, რომ დახმარების გაცემა განხორციელდა სუბიექტური შეხედულებებით.
- სტიქიით დაზარალებული და უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დასახმარებლად, მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სულ გაცემულია 268.6 ათასი ლარი⁷⁵. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით, თავდაპირველად დახმარების მიმღებად განისაზღვრნენ მხოლოდ სტიქიით დაზარალებულები და კატეგორიის მინიჭება ხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება დაკავშირებული იყო სტიქიურ მოვლენებთან. 2013 წლის 25 ივლისს განხორციელებული ცვლილების⁷⁶ მიხედვით, დახმარება გაიცემოდა არა მხოლოდ სტიქიით დაზარალებულ პირებზე, არამედ უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეებზეც, თუმცა შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც ხდებოდა კატეგორიის მინიჭება, დებულების მიხედვით, არ შეცვლილა.

დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელება

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფოსგან თვითმმართველობაზე უფლებამოსილებათა დელეგირება უნდა მოხდეს სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით⁷⁷. დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტს გადაეცემა მიზნობრივი ტრანსფერი. მიღებული ტრანსფერისა და გაწეული ხარჯის ანალიზით დადგინდა, რომ დელეგირებული უფლებამოსილების (სამხედრო სამსახური და საზოგადოებრივი ჯანდაცვა) განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების დაფინანსებისთვის გამგეობას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერის გარდა, მიმართული აქვს საკუთარი შემოსავალი: 2013 წელს - 39.4 ათასი ლარი, 2014 წელს - 63.3 ათასი ლარი, 2015 წლის 6 თვეში კი - 31.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ შეზღუდული ადგილობრივი რესურსების პირობებში, სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაზე საკუთარი

⁷³ 2013 წ - 44.3 ათასი ლარი; 2014 წ - 36.6 ათასი ლარი; 2015 წ 6 თვე - 2.7 ათასი ლარი.

⁷⁴ 2013 წ - 28.9 ათასი ლარი; 2014 წ - 31.9 ათასი ლარი; 2015 წ - 16.0 ათასი ლარი.

⁷⁵ 2013 წელი -130.0 ათასი ლარი; 2014 წელი - 115.2 ათასი ლარი; 2015 წლის 6 თვე - 23.4 ათასი ლარი.

⁷⁶ საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 ივლისის ბრძანება № 1-03/186.

⁷⁷ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

შემოსავლების მიმართვის (ხარჯების გაწევის) მიზანშეწონილობის შეფასება სცილდება აუდიტის ჯგუფის მანდატს.

მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების საკრებულოს კომისიის საქმიანობა

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილია მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია⁷⁸, რომელიც ახდენდა თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებას. რადგან საკუთრების უფლების აღიარების საფასური ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში, აუდიტის ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეესწავლა აღნიშნული კომისიის საქმიანობა.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, დაინტერესებულ პირებზე გაცემულია 334 საკუთრების უფლების მოწმობა. კომისიის შექმნისა და მის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილებების, ასევე მათი საქმიანობისა და მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზით იკვეთება სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები და შეუსაბამობები, რომლის გამოსწორება სასურველია კომისიის მომავალი საქმიანობისათვის:

- ❖ კომისიის შემადგენლობაში წევრების დამტკიცების დროს დაცული არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული⁷⁹ პარიტეტი და ცალკეულ პერიოდებში, წარმომადგენლობითი ორგანოდან კანონმდებლობით გათვალისწინებული სამი წევრის ნაცვლად დამტკიცებულია ოთხი.
- ❖ არ ფიქსირდება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში. ამდენად, საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მხოლოდ საკრებულოს შემადგენლობიდან არჩეული კომისიის წევრები მონაწილეობდნენ.
- ❖ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე გადაწყვეტილების მიღება მინიმალური სამი ხმის ნაცვლად, ზოგჯერ ორი ხმით ხდება.
- ❖ კომისიაში წარდგენილი დოკუმენტების უმეტეს ნაწილში განმარტებული არ არის მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დანიშნულება. შედეგად, ვერ დგინდება, არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობებით დაკავებული მიწის ნაკვეთი სასოფლოა თუ არასასოფლო დანიშნულების.
- ❖ კანონმდებლობით, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ის, რომ მასზე საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს აშენებული ან დანგრეული, ხოლო არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა - აშენებული. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შენობის დანიშნულება ხშირ შემთხვევაში მითითებული არ არის, ხოლო მისი მდგომარეობის შესახებ უმეტესად გვხვდება ჩანაწერი „ამორტიზებული“, საიდანაც ვერ დგინდება, შენობა აშენებულია თუ დანგრეული.

⁷⁸ საკრებულოს 2010 წლის 7 ივლისის № 38 განკარგულებით შექმნილია პირველი კომისია, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის № 95 განკარგულებით და შეიქმნა ახალი კომისია.

⁷⁹ „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის № 525 ბრძანებულება.

- ❖ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული არ არის შენობა-ნაგებობის აშენების თარიღი. ზოგჯერ თვითნებურად ფლობის დამადასტურებელ ერთადერთ დოკუმენტში, როგორც არის მოწმის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, საერთოდ არ ფიქსირდება ინფორმაცია მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობის განთავსების შესახებ.
- ❖ არ არის მითითებული ობიექტის დაცილების მანძილი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებიდან, რაც ხელს უშლის საკუთრების უფლების აღიარების საფასურის სწორად დადგენას (გაანგარიშებას).
- ❖ კანონმდებლობის შესაბამისად, კომისიის შემადგენლობიდან არ არის არჩეული მდივანი. დაინტერესებულ პირს არ ეგზავნებოდა წერილობითი ინფორმაცია სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის შესახებ. კომისიის სხდომის ოქმებში არ არის დაფიქსირებული დაინტერესებული პირების მონაწილეობა და საკუთრების უფლებასააღიარებელი მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების შედეგები.
- ❖ ცალკეულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ წარმოებაში, კანონმდებლობის დარღვევით მონაწილეობს კომისიის წევრი, რომელიც თვითონ არის დაინტერესებული პირი ან შრომით ურთიერთობაშია დაინტერესებულ პირთან.

ინვენტარიზაცია

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები. კერძოდ:

- ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ნედლეულის და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- საწვავის – ყოველთვიურად;
- ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა; ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

სააუდიტო პერიოდში მუნიციპალიტეტში შეცვლილი არიან ტერიტორიულ ორგანოებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. მათი შეცვლა ისე განხორციელდა, რომ არ მომხდარა ტერიტორიულ ორგანოზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია და გადაბარება. ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მათი დანიშვნის დროს მოხდა

ინვენტარიზაცია და ქონების გადაბარება, თუმცა რეალურად ჩატარებული ინვენტარიზაციის შესახებ რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაცია⁸⁰ ვერ იქნა წარმოდგენილი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს ერიცხებოდათ ისეთი მასალები, რომლებიც, სავარაუდოდ, გახარჯული იყო. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტი, რომ აუდიტის მიმდინარეობისას მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მიერ საფინანსო სამსახურს გადაეცა წინა წლებში მასალების ხარჯვის დოკუმენტაცია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა შემოწმების დროს გაცემული რეკომენდაციის მიუხედავად, 2013-2014 წლებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. გამგებლის 2015 წლის 22 მარტის №49 217 ბრძანებით შეიქმნა ინვენტარიზაციის კომისია. აუდიტის მიმდინარეობისას ინვენტარიზაცია დამთავრებული არ იყო და შესაბამისად, არც შედეგები გამოყვანილი.

იმის გათვალისწინებით, რომ არ განხორციელებულა ინვენტარიზაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ განხორციელდეს შესაბამისი რეაგირება.

შიდა აუდიტის სამსახური

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა შექმნილიყო შიდა აუდიტის სამსახურები. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური შეიქმნა დაგვიანებით, 2014 წლის 5 მარტს, რითაც დაირღვა აღნიშნული კანონის მოთხოვნები.

კანონის მიხედვით, შიდა აუდიტის სამსახური უნდა ეხმარებოდეს მუნიციპალიტეტს მიზნების მიღწევაში, მის წინაშე არსებული რისკების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასებით. ახდენდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან, არსებულ წესებთან და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის შეფასებას. შიდა აუდიტმა უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით. შიდა აუდიტის ფუნქცია არის ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის, აგრეთვე აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება.

2014 წელსა და 2015 წლის 6 თვეში შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს არ ჩაუტარებია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და არც 2015 წლის წლიური გეგმით არის გათვალისწინებული. გამგეობაში კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, აუდიტორული შემოწმების ჩატარების შემთხვევაში სავარაუდოდ შესაძლებელი იქნებოდა აუდიტის ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევების ნაწილის თავიდან აცილება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აუდიტორული შემოწმება ჩატარებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ შპს-სა და 7 ა(ა)იპ-ში. შედგენილი აუდიტის

⁸⁰ ინვენტარიზაციის ბრძანება, აქტი, შედარების უწყისი და სხვ.

ანგარიშებიდან არ ჩანს, რა სახის აუდიტორული შემოწმებაა განხორციელებული (სისტემური, შესაბამისობის, ფინანსური თუ ეფექტიანობის). ანგარიშის მიხედვით, აუდიტის ამოცანას შეადგენდა დაფინანსების წყაროების, სუბსიდიების გამოყენების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმება.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილი დარღვევები

მუნიციპალიტეტში წინა აუდიტის დროს გამოვლენილი ძირითადი დარღვევა-ნაკლოვანება არ არის აღმოფხვრილი და კვლავ მეორდება, კერძოდ:

- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის მიზნით შექმნილი ჯგუფი არ ახდენს შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შემოწმებას, იგი ეთანხმება მიმწოდებლის მიერ დაქირავებული აუდიტორული ფირმის საექსპერტო დასკვნას.
- 2009-2013 წლებში სოფელ ფარცხნალში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხებით, მოხდა მოსახლეობისათვის სამკურნალო აბანოს მშენებლობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული. აბანო არ ფუნქციონირებს და არც უახლოეს მომავალშია დაგეგმილი მისი დანიშნულებით გამოყენება.
- ტერიტორიულ ორგანოებში წარმომადგენლების უმეტესობა შეცვლილია ისე, რომ არ ჩატარებულა ქონების ინვენტარიზაცია და გადაბარება. ტერიტორიული ორგანოების ნაშთებში, სავარაუდოდ, კვლავ ირიცხება ისეთი მასალები, რომლებიც გახარჯულია. არ დამთავრებულა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია.
- გზების მოხრეშვისთვის საჭირო ინერტული მასალის გამოყენება, სავარაუდოდ, კვლავ ხორციელდება არალიცენზირებული ადგილობრივი კარიერებიდან.
- ა(ა)იპ-ების დაფინანსებაში არ არის გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროგრამების დაგეგმვა და შესრულება, ხოლო ა(ა)იპ „ხარაგაულის დასუფთავება“ და ა(ა)იპ „ხარაგაულის კეთილმოწყობა“ დაფინანსებულია ისე, რომ არ არის დასაბუთებული მიღებული სუბსიდიით რა სამუშაოები უნდა შესრულებინა, რა პერიოდულობით და მოცულობით. არ არის განხორციელებული კონტროლი შესრულებულ სამუშაოებზე.
- მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის, აგრეთვე მიმდინარე და სხვა სიახლეების გაცნობის მიზნით, ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის განსათავსებლად, შექმნილი იყო ა(ა)იპ გაზეთი „ახალი ხარაგაული“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წინა შემოწმების დროს გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მხრიდან 2013-2014 წლებში ღონისძიებები არ გატარებულა. ხოლო 2015 წელს აღნიშნული ა(ა)იპ გადაკეთდა და დაერქვა „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“, რომელსაც დაემატა ახალი მიზნები და ამოცანები: მოსახლეობასთან შეხვედრების ორგანიზება, მოსახლეობაში არსებული კონკრეტული პრობლემებისა და მოთხოვნების ადგილობრივ თვითმმართველობამდე მიტანა, ურთიერთობის განვითარება მოქალაქეებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის, ცხელი ხაზის შექმნა და სხვა. აღნიშნული ა(ა)იპ-ის არსებული ფორმით ფუნქციონირების მიზანშეწონილობის შეფასების საკითხი ცდება აუდიტის ჯგუფის მანდატს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:
ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა 18.02.2016 თარიღი

წამყვანი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 18.02.2016 თარიღი

აუდიტორი:
ლალი ამბროლაძე



ხელმოწერა 18.02.2016 თარიღი

აუდიტორი:
სოფიო ბელთაძე



ხელმოწერა 18.02.2016 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
თამარ კუხიანიძე



ხელმოწერა 18.02.2016 თარიღი